საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1897 2025 წლის 14 ნოემბერი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 302 200 (სამას ორი ათას ორასი) ლარი, კერძოდ:

ა.ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 168 800 (ას სამოცდარვა ათას რვაასი) ლარი;

ა.ბ) ონის მუნიციპალიტეტს – 66 200 (სამოცდაექვსი ათას ორასი) ლარი;

ა.გ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – 59 200 (ორმოცდაცხრამეტი ათას ორასი) ლარი;

ა.დ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – 8 000 (რვა ათასი) ლარი;

ბ) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის „მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების“ (პროგრამული კოდი: 24 15) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან სათანადო რესურსის მიმართვა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად და თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ამ განკარგულების „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიწოდებული სიების შესაბამისად;

გ) დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, ამ განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის აბონენტების სიების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიწოდება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**